პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ---ივლისი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 8 ივლისის 48-482419050 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის საკ. კოდი (#29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის საკ. კოდი 29.08.37.055 პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482419050**
თარიღი: **08/07/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ჩვენი სახლის'' (ს/კ 421268194) დირექტორის წერილი (თან ერთვის), რომელიც ითხოვს 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ისევ გადაეცეს, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, პირველი შესახვევი, N2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართი, რომელზეც უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა მთავრდება 2024 წლის 15 ივლისს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ ,,ჩვენი სახლს'' (ს/კ 421268194) საქმიანობის განხორციელების მიზნით 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, პირველი შესახვევი, N2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

საქართველო

ჩვენი სახლი

Georgia

Our House

N396 1 ივლისი 2024წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის 1-ლი შეს. N2 მდებარე მუნიციპალური საკუთრების შენობაში 2010 წლიდან ფუნქციონირებს ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,ჩვენი სახლი", (ს/კ 421268194) რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულია დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიმწოდებლად და ემსახურება 6-დან 18 წლამდე სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ, მიტოვების რისკის ბავშვებს.

თქვენს მიერ დღის ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ფართის სარგებლობის ვადა იწურება 2024 წლის 5 ივლისს.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვიგრძელოთ აღნიშნული ფართით სარგებლობის უფლება 2 წლის ვადით, რათა შეუფერხებლად შევძლოთ ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდება.

ცენტრის დირექტორი /ნანა გვაჩლიანი/

საქართველო, წყალტუბო, 5400 ბესიკის ქ.4/40
ს/კ: 421268194
ტელ: +995 436221314 მობ: +995 98 217021
ელ. ფოსტა chvenisakhli24@yahoo.com

4/40 Besiki str. 5400 Tskhaltubo, Georgia.
I/C: 421268194
TEL: +995 436221314 MOB: +995 98217021
Email chvenisakhli24yahoo.com